უნივერსიტეტის მისია, ხედვა, ღირებულებები

ხედვა - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი 2025 წლისთვის თავის თავს ხედავს მსოფლიოს ათას საუკეთესო უნივერსიტეტს შორის

მისია - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი თავის მისიად თვლის დაიცვას, შეინარჩუნოს და განავითაროს საკაცობრიო ცოდნა, შექმნას ახალი და გააზიაროს მეცნიერების განვითარებისა და საზოგადოების ინტელექტუალიზაციის ხელშეწყობის მიზნით. საკუთარი საგანმანათლებლო ფუნქცია განახორციელოს სტუდენტის ინტერესებსა და სწავლის შედეგებზე ორიენტირებული საქმიანობით, რითაც შექმნის ნიჭიერ და მოტივირებულ, სტუდენტურ კლასტერს, რომელიც ჩამოყალიბდება კონკურენტუნარიან სპეციალისტთა თაობად და შეძლებს ინტეგრირებას საერთაშორისო საგანმანათლებლო და შრომის ბაზრებზე, აიღებს პასუხისმგებლობას ქვეყნის მომავალზე.

აქედან გამომდინარე, უნივერსიტეტი, როგორც საუნივერსიტეტო იდეის მატარებელი საზოგადოება, თავის დანიშნულებას ხედავს ისეთი მიზნების განხორციელებაში, როგორიცაა:

1. მოამზადოს არა მარტო კონკურენტუნარიანი პროფესიონალები, არამედ აღზარდოს მაღალზნეობრივი, მოქალაქეობრივი თვითშეგნების მქონე, ეროვნული ცნობიერებისა და ლიბერალური ღირებულების მატარებელი თაობები, რომლებიც წონად წვლილს შეიტანენ ქვეყნის ეკონომიკისა და სოციო-კულტურული განვითარების საქმეში.

2. ხელი შეუწყოს სტუდენტთა ზრდის პერსპექტივის შექმნას, მათი პიროვნული და შემოქმედებითი პოტენციალის განვითარებას საერთაშორისო მობილობის შესაძლებლობის გაფართოებისა და, სამივე საგანმანათლებლო საფეხურის პროგრამის ფარგლებში, მიზნობრივი სასწავლო-სამეცნიერო და დამატებითი აქტივობების განხორციელების გზით.

3. შექმნას შედეგზე ორიენტირებული სისტემა სამეცნიერო-კვლევითი მიმართულების განვითარებისათვის, რომელიც საფუძველს შექმნის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამეცნიერო პოტენციალის გაფართოებისა და ახალი სამეცნიერო კადრების მოსამზადებლად.

4. უზრუნველყოს ახალგაზრდა მეცნიერთა თაობაში საკაცობრიო ცოდნის კონსერვაციისა და მისი ახლებურად გააზრების აუცილებლობის გაცნობიერება, ახალი ცოდნის გენერირებაზე ორიენტირებული აქტივობების განხორციელება და მათი საერთაშორისო სამეცნიერო-აკადემიურ სივრცეში ინტეგრირება;

5. აკადემიური და სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილების საფუძველზე განავითაროს და სრულყოს მოსახლეობის საჭიროებებზე ორიენტირებული სოციალური მობილობის ხელშეწყობის (უწყვეტი განათლება/კვალიფიკაციის ამაღლება), საკონსულტაციო-ექსპერტული და კლინიკური მომსახურების სისტემა.

   უნივერსიტეტი საკუთარ მისიას განახორციელებს შემდეგ ღირებულებებზე/პრინციპებზე დაყრდნობით:

1. სწავლა-სწავლების პროცესის ლიბერალურობა, დემოკრატიულობა, ღიაობა;
2. აკადემიური შეუვალობა და ჭეშმარიტების თავისუფალი ძიება;
3. მიუკერძოებლობა, კეთილსინდისიერება, მაღალი პასუხისმგებლობა;
4. არჩევითობის თავისუფლება, გამჭვირვალობა, სამართლიანობა;
5. სტუდენტი - სწავლა-სწავლების პროცესის ცენტრალური სუბიექტი.